ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08. 3724086001**
თარიღი:**26/03/2024**

დასკვნა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის“ - პროგრამის განხორციელების წლიურ ანგარიშზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის“- პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიში (შემდგომში „ანგარიში“) და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში „ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის“ - პროგრამის შესრულების წლიური ანგარიში წარმოდგენილია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის“- პროგრამის განხორციელების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის #25 დადგენილებით განსაზღვრული წესის მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

2. ანგარიშში მოცემული სტატისტიკური მასალა, პროგრამის განხორციელების შედეგად მიღწეული ფაქტობრივი შედეგები და დაფინანსებული პროექტების მიმართულებები, სუბიექტები და კონკრეტული ობიექტები ადასტურებს, რომ აღნიშნული პროგრამით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები წარმატებით დასრულდა.

3. საანგარიშო პერიოდში ზემოთ აღნიშნული პროგრამით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე (სულ 100,0 ათასი ლარი) დაფინანსდა 13 პროექტი. დაფინანსებული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სოციალურ- ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას, საწარმოო სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდას, მიმდინარე ეტაპზე ჯერ კიდევ გამოუყენებელი რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვას.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელების წლიური ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების შესახებ.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი